ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N54/გ

ქ.მცხეთა „06" მაისი 2016 წელი

(SMP160001269) ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, წარმოდგენილი გამგებლის ზურაბ აბესაძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, ი.მ „ნინო რევაზიშვილი" (შემდგომში „მიმწოდებელი") საქართველოს კანონის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილი №9 ბრძანებისა, სხვა მოქმედი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:(გადაუდებელი აუცილებლობა).

მუხლი 1.შესყიდვის ობიექტი და შესასრულებელი სამუშაოების აღწერა

1.1 შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფ. საგურამოში ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმის ეზოში გარე განათების მოწყობის სამუშაოები.

1.2 შესყიდვის კატეგორია CPV 45300000 -სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

1.3 მიმწოდებელმა სამუშაოების დასრულების შემდეგ , თავისი ძალებითა და სახსრებით უნდა გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, დროებითი ნაგებობებისგან, ასევე სამშენებლო ნარჩენებისაგან, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1 სამუშაოების შესყიდვის ღირებულება შეადგენს 5617 (ხუთიათას ექვსას ჩვიდმეტი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს სამუშაოების სრულყოფილ შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახდელებს.

მუხლი3. სამუშაოების შესრულების ვადა და ადგილი

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია წარმოდგენილი სატენდერო წინადადებით განსაზღვრული სამუშაოები დაასრულოს 2016 წლის 20 მაისის ჩათვლით.

3.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია სოფ. საგურამო.

მუხლი 4. გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ სამუშაოები შესრულებული იქნება ხარისხიანად, საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად.

4.2 სამუშაოების დასრულებიდან 1 წლის განმავლობაში იძლევა გარანტიას, საკუთარი სახსრებით დაუყოვნებლივ აღმოფხვრას ნებისნიერი გამოვლენილი წუნი თუ დეფექტი.

4.3 საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიმართვის შემდეგ არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღეში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში მიმწოდებლის მიზეზით წარმოქმნილი ხარვეზები.

4.4 თუ მიმწოდებელი საგარანტიო ვადის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით ვერ უზრუნველყოფს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრას, შემსყიდველი უფლებამოსილია გაფრთხილებიდან 30 (ოცდაათი) დღის ამოწურვის შემდეგ მიმართოს სასამართლოს მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

მუხლი 5 . ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომლის მიზანია მათი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. ამასთანავე, მიმწოდებელი უფლებამოსილია წინასწარ შეათანხმოს შემსყიდველთან მშენებლობის პროცესში გამოსაყენებელი ზოგიერთი მასალის ხარისხი.

5.2 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს, ობიექტზე შესრულებული სამუშაოების აქტების (ე.წ. ფორმა#2 ან/და ფორმა#3) შეფასებას, ინსპექტირებას და ხელისმოწერით დადასტურებას განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურულ სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახური.

5.3 ობიექტზე შესრულებული სამუშაოების აქტების (ე.წ. ფორმა#2 ან/და ფორმა#3) შეფასება-ინსპექტირება მოიცავს: სამუშაოთა შესრულების შესაბამისობას საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტებთან, სამუშაოს მოცულობებეთან და სამუშაოთა წარმოების გრაფიკთან.

5.4 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, განახორციელოს მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

5.5 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსით უზრუნველყოს შემსყიდველი (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

5.6 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთას და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.7 მიმწოდებელმა სამუშაოების წარმოების ნორმების მიხედვით სისტემატურად უნდა აწარმოოს მასალებისა და შესრულებული სამუშაოების ხარისხის კონტროლი.

5.8 შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა, მშენებლობის ნებისმიერ მომენტში შეამოწმოს გამოყენებული მასალებისა და სამუშაოების შესრულების ხარისხი. იმ შემთხვევაში თუ ხარისხი არ აღმოჩნდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი, შემსყიდველი უფლებამოსილია შეაჩეროს სამშენებლო სამუშაოების წარმოება და აკრძალოს შეუსაბამო მასალების გამოყენება.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს აქტის (ფორმაN2 ან/და ფორმა N3) წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში.

6.2 დასაშვებია წინასწარი ანგარიშსწორება არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 20%-სა, ავანსი გაიცემა ბანკის ან სადაზღვეო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ. გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 60 დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოს მიწოდების ვადა.

6.3 ავანსად გაცემული თანხის დაკავება მოხდება საბოლოო ანგარიშსწორებამდე, ეტაპობრივად წარმოდგენილი ფორმა N2 მიხედვით მოთხოვნილი თანხიდან ავანსად გაცემული პროცენტის პროპორციულად.

6.3 ხელშეკრულების ფარგლებში ანზღაურებული იქნება მხოლოდ იმ შესრულებული სამუშაოების ღირებულება რომლის მოცულობასა და ხარისხზე არსებობს უშუალოდ შემსყიდველის მხრიდან საამისოდ შერჩეული პირის (ზედამხედველი) მიერ დადასტურებული აქტი.

6.4 შემსყიდველი იტოვებს უფლებას დაიტოვოს ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს 20%, რომლის ანაზღაურება მოხდება სამუშაოს დასრულების შემდეგ მიმწოდებლის მიერ ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.5 საბოლოო მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიური დანახარჯების მიხედვით, დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე, რომლითაც დგინდება

შესრულებული სამუშაოების შესაბამისობა ხარჯთაღრიცხვასთან, დასკვნას თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი დოკუმენტაცია.

მუხლი 7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 სამუშაოს მიღება-ჩაბარებისთვის მიმწოდებელმა სამუშაოების დასრულების შემდგომ, შემსყიდველს უნდა წარუდგინოს ფორმა № 2, ფარული სამუშაოების ჩატარების აქტი (ფარული სამუშაოების შესრულების შემთხვევაში) და ექსპერტიზის მიერ გაცემული დასკვნა, რომლითაც დგინდება შესრულებული სამუშაოების შესაბამისობა თანდართულ ხარჯთაღრიცხვასთან, დასკვნას თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი დოკუმენტაცია.

7.2 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ორივე მხარის უფლებამოსილი პირების დასწრებით, მათ მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება_ჩაბარების აქტს შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბრძანებით შექმნილი „მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული სამუშაოს მიმღები კომისია". დასრულებული სამშენებლო სამუშაოების მიღება-ჩაბარების კომისიის მიერ ხელმოწერილ აქტს ამტკიცებს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოადგილე..

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის „მე-20 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.5 საქართველოს სამოქალაქო კოდქსისი 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელი თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ე მეტი ოდენობით გაზრდა.

მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 მხრეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

9.2 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,5 %-ს.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ ხელშკრულების 9.2 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიღწევს მთლიანი სახელშეკრულებლო ღირებულების 10%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.4 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან/და არაჯეროვან ასრულებს ამ ხელშეკრულებით მის მიერ ნაკისრი ვალდებულებებს, მათ შორის გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში, რაც დადასტურდება შემსყიდველის მიერ შესრულებული სამუშაოების დარღვევად და შესაძლებელია შემსყიდველის მიერ ეს განხილული იქნეს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლად.

9.6 „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) „მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.7 როგორც შემსყიდველისათვის ისევე მიმწოდებლისათვის ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა არ ჩაითვლება იმ დღეების რაოდენობა, რომელიც ექსპერტს დასჭირდება დასკვნის გასაცემად.

მუხლი 10. მხარეთა უფლება - მოვალეობანი

10.1 შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

10.2 შემსყიდველი ვალდებულია :

ა) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

გ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

დ) წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

10.3 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

ბ) ხელი მოაწეროს მიღება-ჩაბარების აქტს;

გ) მიმწოდებლისაგან მოითხოვოს სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტაცია;

10.4 მიმწიდებელი ვალდებულია:

ა) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

ბ) სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოების მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება ხელშეკრულების 3.1 პუნქტით განსაზღვრულ ვადებში;

გ) სამუშაოების შესრულების პროცესში შემსყიდველის შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები ან/და შეცვალოს უხარისხო მასალა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე:

დ) მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების პროცესში უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოებს და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად;

ე) სამუშაოების დასრულებიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვა ნებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რაიმე აღნიშნული წუნი (ნაკლოვანება, დეფექტი) გამოწვეულია მისი მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით დაუყოვნებლივ აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული ნებისნიერი გამოვლენილი წუნი თუ დეფექტი.

ვ) მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

მუხლი 11. სუბკონტრაქტორები

11.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

11.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

11.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

მუხლი 12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მომწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს,რათა მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 14. გამოყენებული სამართალი

14.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 15. შეტყობინება

15.1 მხარეთა შორის მიმოწერა ხორციელდება ქართულ ენაზე.

15.2 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

15.3 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

მუხლი 16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 ხელშეკრულება შედგენილია 4 (ოთხი) ეგზემპლარად, 4 (ოთხივეს) აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომერ მხარეებთა, ერთი პირი მიმწოდებელთა, ხოლო სამი პირი შემსყიდველთან.

16.2 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

16.3 ხელშკრულების მე-4 მუხლის 4.2,4.4, პუნქტები ძალაშია სამუშაოების მთლიანი საგარანტიო ვადის განმავლობაში.

16.4 ხელშკრულების 10.4 პუნქტის „ე" ქვეპუნქტი ძალაშია მიღება_ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში.

16.5 ხელშეკრულებას თან ერთვის და განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს:

16.5.4 ხარჯთაღრიცხვა.

რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა	ი.მ „ნინო რევაზიშვილი"
მის: ქ.მცხეთა, ანტიოქიის N7	მის: ქ. მცხეთა. სოფ. მისაქციელი
ს/კ 236098824	ს/კ 31001000315
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	მომსახურე ბანკი: „ლიბერთი ბანკი"
ბ.კ TRESGE22	ბ/კ LBRTGE22
ა/N GE24NB0330100200165022	ა/ა GE34LB0112160902838000
ტელ: 2512696	ტელ: 595 155 967

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ზურაბ აბდსაძე

ინდ. მეწარმე

ნინო რევაზიშვილი

მცხეთის მუნიციპალიტეტის

არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური.

ილია ჭავჭავაძის სოფ. საბურამოს მუზეუმის ტერიტორიაზე გარე განათების მოწყობა.

საპროექტო დოკუმენტაცია

მცხეთის მუნიციპალიტეტი

2016 წელი

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეებელს
ბატონ ზურაბ აბესაძეს

ბატონო ზურაბ,

უპირველესყოვლისა, მინდა მადლობა გითხრათ ყოველივე იმისათვის, რასაც მცხეთის მუნიციპალიტეტი და პირადად თქვენ აკეთებთ ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმისათვის.

მოგეხსენებათ, მიმდინარე წლის 18 მაისიდან იწყება მუზეუმების კვირეული. საქართველოში პირველად ტარდება ღონისძიება „ღამე მუზეუმში", რომელიც ითვალისწინებს მუზეუმების მუშაობას ღამის პირველ საათამდე. დაგეგმილია სხვადასხვა ღონისძიებები და მათ შორის უმთავრესია კონცერტი „მეცხრამეტე საუკუნის ქართული პოეზია სიმღერაში", მასში მონაწილეობენ უთვალსაჩინოესი ქართული ანსამბლები და ინდივიდუალური მომღელები: „ქართული ხმები", „უნივერსიტეტი", „სიმი", „ცისფერი ტრიო", ეკა მამალაძე, ნუკრი კაპანაძე. კონცერტი უფასოა და მასზე დასწრება შეეძლება ნებისმიერ მსურველს. ეზოში და პარკში გვაქვს განათების ბოძები, მაგრამ არ გვაქვს განათება, არ გვაქვს სცენა და პარკში დასადგმელი სკამები.

ღონისძიებას დაესწრებიან უცხოელი სტუმრები, მთავრობის, პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები, რაიონის მოსახლეობა, მოსწავლე ახალგაზრდობა...

ბატონო ზურაბ, კარგად იცით თუ როგორი რეზონანსის ღონისძიებებს ატარებს მუზეუმი და ზემოთ ჩამოთვლილი საჭიროებები ყოველთვის აუცილებელია ჩვენთვის. მარტო 2 აგვისტო, „ილიაობა" რომ ავიღოთ, ვფიქრობ, ამის კიდევ ერთი დადასტურება იქნება. ვიცი, ძალიან ცოტა დრო დარჩენილი 21 მაისამდე, მაგრამ ვფიქრობთ, ამ დღის რეზონანსულობა და მონდომება დროის სიმცირის ბარიერს დაგვაძლევინებს. სცენამ და აქაურმა განათებულმა პარკმა სამსახური უნდა გაუწიოს მთელ რაიონს.

ჩვენი ვარაუდით, სულ საჭიროა 20 000 (ოცი ათასი) ლარი.

პატივისცემითა და დახმარების იმედით,

მუზეუმის დირექტორი ა. ბედუკაძე

წუნდების ოქმი

ილია ჭავჭავაძის სოფ. საგურამოს მუზეუმის ეზოში სცენის და გარე განათების მოწყობა

№	სამუშაოს დასახელება	განზ.	სულ
	სცენის მოწყობა		
1	მეტალოკონსტრუქციის დამზადება სცენის მოსაწყობად 12X8 მ	კვ.მ.	96.00
2	ლითონის კონსტრუქციის შეღებვა	კვ.მ.	51.2
3	ხის იატაკის მოწყობა ლითონკონსტრუქციაზე დამაგრებულ კოჭებზე	კუბ.მ.	6.18
4	ლითონის კიბის მოწყობა	ცალი	2.00
5	ფარის მოწყობა ლამინირებული ფანერით ლითონკონსტრუქციაზე სცენის ფასადის მხრიდან 12X0.8	კვ.მ.	9.60
	გარე განათების მოწყობა		
1	კრონშტეინების დამზადება და არსებულ საყრდენ ანძებზე მონტაჟი	ცალი	35.00
2	კაბელის მონტაჟი	გრძ/მ	1000.00
3	გარე განათების სანათების (ლამპიონი) მონტაჟი	ცალი	35.00

ილია ჭავჭავაძის საგურამოს მუზეუმის დირექტორი ა. ბრედუკაძე

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი საგურამოს ტერიტორიულ ორგანოში

გ. უნდილაშვილი

სოფ. საგურამო
გარე განათება ილია ჭავჭავაძის მუზეუმის ტერიტორიაზე

ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა №
გარე განათების მოწყობა ილია ჭავჭავაძის მუზეუმის ტერიტორიაზე

საფუძველი: პროექტი და დეფექტური აქტი
შედგენილია 2016 წ. მიმდინარე დონეზე

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 5,617 ლარი

№	საფუძველი	სამუშაოს დასახელება	ნორმატიული რესურსი			ხელფასი		მასალა		სამშენებლო მექანიზმები		ჯამი
			განზ.	ერთეულზე	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	
1'	2'	3'	4'	5'	6'	7'	8'	9'	10'	11'	12'	13
		კრონშტეინების მონტაჟი										
1	საბაზრო	კრონშტეინების დამზადება არსებულ საყრდენ ანძებზე დასამონტაჟებლად	ცალი		35.00							
		შრომითი რესურსები	ცალი	1	35.00	6.25	218.75					219
		– მილი ფოლადის, დ = 42 მმ, ბ=2,5 მმ, L=22X1,5 მ	გრძ.მ		52.50			4.41	231.36			231
		– ელექტროდი, დ= 4 მმ	შეკვრა		2.00			14.41	28.81			29
		– საჭრელი ქვა	ცალი		6.00			4.24	25.42			25
2	საბაზრო	გარე განათების ანძებზე არსებული ლითონის ელემენტების მოჭრა და კრონშტეინების მონტაჟი ამწეს გამოყენებით	ცალი		35.00							
		შრომითი რესურსები	ცალი			7.78	272.30			1.25	43.75	316
3	საბაზრო	კრონშტეინების შეღებვა	კვ.მ		13.85							
		შრომითი რესურსები	კვ.მ	1	13.85	2.50	34.62					35
		– ზეთოვანი საღებავი	კგ		2.77			4.83	13.38			13
		– გამხსნელი	ლიტრი		1.11			3.98	4.41			4

		გარე განათების სანათების (ლამპიონი) მონტაჟი										
1		კაბელის ("სიპ"-ის) მონტაჟი	გრძ/მ		1000.00							
		შრომითი რესურსები	გრძ/მ	1	1000.00	0.25	250.00			0.06	62.50	313
		– ელ. სადენი СИП/2Х16 კვ.მმ/	გრძ/მ	1.05	1050.00			1.14	1201.27			1201
		– არმატურა, 10 მმ. L=0.25 სმ	გრძ/მ		8.75			1.30	11.38			11
2		სანათების (ლამპიონი) მონტაჟი	ცალი		35.00							
		შრომითი რესურსები	ცალი	1	35.00	3.75	131.25			1.25	43.75	175
		– ქუჩის სანათი, "დოგანი"-ს ტიპის, ეკო ნათურით	ცალი		35.00			30.51	1067.8			1068
		ჯამი					906.92		2583.8		150.00	3641
ზედნადები ხარჯები მონტაჟზე			75%									680.2
ჯამი												4320.9
სახარჯთაღრიცხვო მოგება			6%									259.3
ჯამი												4580.2
გაუთვალისწინებელი ხარჯები			3.9%									180
ჯამი												4760
დღგ 18%			18%									857
სულ												5617

შედგენილია მცხეთის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განყოფილებაში

უ. ლაფერაშვილი